

3 თვეში ბანკებმა მოსახლეობისგან ჯარიმებით 18 მილიონი დარი მიიღეს

✘ კომერციულმა ბანკებმა 2018 წლის 3 თვის განმავლობაში საურავებიდან და კრიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 18 038 840 მდნ შემოსავალი მიიღეს.

როგორც კომერციული ბანკების ანგარიშგებაში ვკითხულობთ, ჯარიმებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი „თიბისი ბანკმა“ მიიღო – 6 149 639 დარი. მეორე ადგილზე „საქართველოს ბანკი“ – 4 815 971 დარი.

მესამე ადგილზე „რიბერთი ბანკი“ – მან 2018 წლის პირველ კვარტალში საურავებიდან და კრიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 3 221 310 დარის შემოსავალი მიიღო. მეოთხე ადგილზეა – „კრედი“ – 1 135 803 დარი. ტოპ-ხუთეულშია „ფინკა ბანკი“ – 714 260 დარის შემოსავლით.

ფინანსისტების თქმით, ქართული საბანკო სექტორი მოგების მაღალ მარჯას სწორედ ჯარიმების/საურავებისა და საკომისიოებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე აღწევს. აღნიშნული მონაცემები კი საქართველოში ბანკების მიერ დაწესებულ ჯარიმების სიძვირებზე მიუთითებს.